საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის თავმჯდომარის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №173

2019 წლის 28 მაისი ქ. ბათუმი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსათვის თანხის გამოყოფის შესახებ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2019 წლის 27 მაისის NMES 4 19 00645776 წერილის გათვალისწინებით, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 90-ე მუხლის, ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2019 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ'' აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლისა და ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პროცესისა და უფლებამოსილებათა შესახებ'' აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-18 მუხლის შესაბამისად:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, ა(ა)იპ ,,საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის" ავტორიზაციის საფასურის დასაფარავად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2019 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სარეზერვო ფონდიდან გამოეყოს 37 055 (ოცდაჩვიდმეტი ათას ორმოცდათხუთმეტი) ლარი.

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ (ჯ. ფუტკარაძე) უზრუნველყოს მიზნობრივი დაფინანსება.

3. კონტროლი გამოყოფილი თანხის მიზნობრივ ხარჯვაზე დაევალოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

ფიროზიკე რიჟვაძე